საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6419/01
25/06/2021

6419-01-2-202106251045

შპს „რეციკლინგს“

მის: ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. N7

ელ. ფოსტა: hakan@bars.ge

სამინისტრომ განიხილა თქვენი N3813 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში ჯავახიშვილის ქ. N7-ში სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა მოიცავს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებას R12 ოპერაციით (ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, მითითებული ოპერაცია მოიცავს, ნარჩენების წინასწარ დამუშავებას ნარჩენების აღდგენამდე). შესაბამისად, პროექტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია, დამუშავების შემდგომ მიღებული ნარჩენების შესახებ. კერძოდ: ნარჩენის კოდი და დასახელება. რაოდენობა, მახასიათებლები და შემდგომი მართვის საკითხები;
- დასაზუსტებელია სკოპინგის ანგარიშით გათვალისწინებული ნარჩენი ზეთების აღდგენის ოპერაციის კოდი;
- გაურკეველია სკოპინგის ანგარიშში მოცემული ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენის წინასწარი დამუშავების მეთოდი;
- **სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია ტექნოლოგიური პროცესების და გამოყენებული დანადგარების შესახებ, მათ შორის სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების, ნამუშევარი ზეთების აღდგენის და ხის ნახშირის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, ასევე საწარმოში დაგეგმილი ტექნოლოგიური დანადგარების პარამეტრები და საპასპორტო მონაცემები, გამოსაყენებელი საშუალებები და მოწყობილობები და მათი წარმადობა;**
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სხვადასხვა ნარჩენების ერთ სივრცეში გადამუშავების თავსებადობის შესახებ;
- აღდგენის შედეგად მიღებული პროდუქციის რაოდენობა;

- საწარმოში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვის შესახებ მონაცემები;
- ნამუშევარი ზეთების და მიღებული პროდუქტის რეზერვუარების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, რეზერვუარის ტიპი, რაოდენობა და მოცულობა, რეზერვუარის განთავსების პირობები;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს საქმიანობა ითვალისწინებს ,,საუკეთესო ტექნოლოგიის" გამოყენებას გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთება და ინფორმაცია გარემოსდაცვითი კუთხით ზემოაღნიშნული საუკეთესო ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში (ცხრილი 1.1.1.) საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი (ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. N24ა) საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა. აღნიშნული დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე